წელიწადი 1913 მესამე

ორშაბათი, 9 სექტემბერი № 140

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

# თემი

ორშაბათი 9 სექტემბერი № 140

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе ხ. ლის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა უქმე დღეებს გარდა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

1 ივლისიდან წლის დამლევამდე გაზ.

წელიწადი მესამე. „თემი" წელიწადი მესამე

ღირს 1 მან. 25 კაპ.

ადრესის გამოცვლა თბილისის გარეშე—40 კაპ.

ვინც გაზეთის წლიურ ფასს—2 მან. 50 კაპ. ერთბაშად წარმოუდგენს, მიიღებს ორ პრემიას: 1) ს. აბაშელის ლექსთა კრებულს „მზის სიცილს" და 2) კ. მაყაშვილის ლექსთა კრებულს.

რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდის—Ольгинская, 4, д. Діасамидзе.

ახალი კლუბი

საზაფხულო სადგომი

პარასკევს 13 სექტემბერს 1913 წ.

საზანდარი

ჩვეულებრივ

სინემატოგრაფიული სურათები

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

Adresse télégraphique SANITAS

Адресъ телеграммъ Санитасъ Тифлисъ

პარფიუმერიული და კოსმეტიური საგნები

საუკეთესო და ცნობილ სხვა და სხვა

ფირმებისა

როგორც რუსეთისა, ისე საზღვარ-გარეთისა.

ახალი კლუბი

(საზამთრო თეატრი)

ხუთშაბათს, 12 სექტემბერს

სიმფონიური კონცერტი

აწ გარდაცვალებულ კომპოზიტორის ა. ჭილაშვილის ნაწარმოებთაგან. ქ. გ. ა. კოლოტოვისა (სოპრანო), ბ. გოფმანისა (ტენორი) და ვ. ი. ფელიონის გამგებლობით სიმფონიურ ორკესტრის მონაწილეობით.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში მყოფი

სამუსიკო სკოლა

ლეონ პიშნოვისა და ადოლფ შვეიგერისა.

პეტრე დიდის ქუჩა, 16.

2 ენკენისთვეს გაიხსნება შემდეგი კლასები: ფორტეპიანოსი (უმცროსი, საშუალო, და უფროსი კურსები), კომპოზიციის თეორიისა (ელემანტარულ თეორიის, ჰარმონიის, სოლფეჯიოს), მუსიკის ისტორიის და ესთეტიკისა.

თეორიის და უმცროს კურსის ფორტეპიანოს მასწავლებლად მოწვეულია თავისუფალი მხატვარი ლ. ლ. ლისოვსკი.

თხოვნა მიიღება ყოველდღე, უქმეების გარდა, სკოლის ბინაზე 10—2 საათ. 10 ენკენისთვემდინ. სწავლის ფული: უმცროს მასწავლებლებთან 100 მან. წელიწადში; ხუთ-ხუთი თუმანი ნახევარ წლიურად; უფროს მასწავლებლებთან 110 მან., ნახევარ-წლიურად—55 მან. ამ ფასში შედის თეორიულ საგნების შესწავლის ღირებულება. კომპოზიციის სპეციალური თეორია—წელიწადში 100 მ.

ქ. ტფილისში ვერის საქალაქო პარკთან

ყოველ დღე 3—5 ს. და 9—2 ს. ღამისა უკრავს სიმებიანი საკონცერტო ორკესტრი რომის კონსერვატორიის თავისუფალ ხელოვანის ვ. ფაუსტინის ლოტბარობით. სკრიპკაზე დამკვრელის კონევსკის და ვიოლონჩელზე დამკვრელის სტეფანჩაკის მონაწილეობით.

გაიხსნა პირველ-ხარისხოვანი

რესტორანი ნ. ჯინჭარაძის ხელმძღვანელობით

მიმოსვლა შეიძლება მიხეილის პრ., კრილოვ სა და პასტერის ქ. ოლღას ქუჩის მხრით—ბრევნოვოზნი ქ. ვერის ხიდიდან—სადგური მტკვრის მარჯვენა მხარეზე.

გვაქვს საზღვარ-გარეთის და აქაური სასმელები და ყოველგვარი ცივი სასმელები, სამზარეულო აზიური და ევროპიული.

ფასები ზომიერი,

სამაგალითო გადასახედავი, სადი და გრილი ჰაერი.

ტელეფ. № 14—66.

25—8

საყოველთაო ცნობა.

მომავალ სეზონისათვის

შემოდგომა და ზამთარი

პ. ს. დოროჟნოვის

მთავარ მაღაზიაში

სოლოლაკის ქ სახლი გურგენოვისა № 2 ტელეფ. № 583.

მიღებულია სულ უკანასკნელი ახალ-ახალი სავაჭრო: აბრეშუმეულობა, მატყლეულობა, ტრიკო, დრაპი და მაუდი; სხვა და სხვა ფერის ბამბეულობა, ქსოვილები; სასადილო საცვლები, ტილო და ხელის ქსოვილები; საცვლები მამაკაცთა და მანდილოსანთათვის; წინდები, ჩულქები, ტრიკოტაჟი მატყლეულობიდან; სამეზულო სტილის მინამსგავსი ქსოვილები და პლიუში; ტიულის ფარდები, პორტიერები და შტორები; ხალიჩები, გრძელი და ვიწრო ხალები, მატები; თბილი საბნები, ცხვირსახოცები და პლედები.

სავაჭრო ახალ-ახალია, საუცხოო, ლამაზი და იაფი.

ტილოს, მაუდის, რავენდუკის და სხვა საწყობი

მიიღება დაკვეთა სამკურნალოებისათვის, ლაზარეთებისათვის და სხვა სახაზინო და კერძო დაწესებულებისათვის.

ახალი კლუბი

საზაფხულო სადგომი

ორშაბათს, 9 და ოთხშაბათს 11 სექტემბერს,

სინემატოგრაფის საშუალებით

აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ♦ „ახალი კლუბის" სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

თბილისის ქართული ფილარმ. საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

მოწაფეთა მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან ყოველ დღე კვირა უქმის გარდა დილის 10 საათიდან 2-მდე და საღამოს 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში, ყორღანოვის ქუჩა რჩეულიშვილის სახლი № 6.

სპეციალურ საგნებზედ მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—ბ. მ. ამირაჯიბისა, ო. მ. ბერგი-პივოვარაკისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ქიქოძისა, ე. ვ. ფოგელისა და თ. ს. შაბუროვისა. სკრიპკა: მ. ტ. ვასილევი. ვიოლონჩელი: ე. ნ. კოპელნიცკი. კონტრაბასი: მ. ი. ბერშოვი. სიმღერა, Solo: (ხმის დაყენება და გავარჯიშება და ოპერების შესწავლა) ს. ნ. სოლოვიოვა-სტრახოვა და ბროჯი. ელემენტ. თეორია, სოლფეჯიო, ჰარმონია და ენციკლოპედია: ზ. პ. ფალიაშვილი, ხოროს კლასსი: ზ. ი. ჩხიკვაძე.

ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად: ფორტეპიანოზედ: ე. ი. პოლტარაცკისა და სკრიპკაზედ—ვ. მ. ბროდსკი.

სწავლის ფასი ღირს: ფორტეპიანოსი 65 მან. წელიწადში, სკრიპკის 65 და 75 მან. ვიოლონჩელი 65 მან. კონტრაბასი 50 მან. სიმღერა (Solo) 75 მან. თეორიის კლასსებში 15 მან. წელიწადში. სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარ-წლობით წინ-და-წინ. ხმების გასინჯვა, საეკლესიო გუნდში მისაღებად დანიშნულია, ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 5—7 საათამდე

პარაკლისი და სწავლის დაწყება დანიშნულია პირველ სექტემბერს შუადღის 12½ საათზ.

5—4

ხაცვალი მანდილოსანთათვის

დიდძალი

არჩევანი.

მმ. ალშვანგები

სასახლის ქ.

ქუდები

(„კოტიოლკები")

ფეტრისა და ვილიურის

მმ ალშვანგები

სასახლის ქ.

## საგულისხმო დღესასწაული.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლას წელს შეუსრულდა 30 წელიწადი დღიდან მისი დაარსებისა.

ჩვენი საზოგადოების შეგნებულ ნაწილს არა სურს ეს გარემოება ალუნიშვნელად გაატაროს, ამიტომ არჩეულია საგანგებო კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს რამდენად შეიძლება დიდის ამბით მოაწყოს ეს პირველი თვალსაჩინო დღესასწაული სამეურნეო საქართველოსი.

კომიტეტს უკვე დაუდგენია დღესასწაული გადაიხადოს **სექტემბრის 29-ს კვირას, სოფ. წინამძღვარიანთ-კარში.**

ყველანი, ვინც გამოაცხადებენ სურვილს ამ დღესასწაულში მონაწილეობის მიღებისას, უნდა წავიდნენ დილით ადრე მატარებლით სადგურ მცხეთას. აქედან ყველანი გაემგზავრებიან სოფ. წინამძღვარიანთ-კარისკენ. გზაში დილის 10 საათზე, სოფ. წიწამურთან იმ ალაგას, სადაც სული დალია ჩვენმა სასიქადულო მოღვაწე ილია ჭავჭავაძემ, მისი სულის მოსახსენებლად, როგორც წინამძღვარიანთ-კარის სკოლის მოამაგისას, გადაიხდიან პანაშვიდს და წარმოსთქვამენ შესაფერ სიტყვას. გზაშივე სოფ. საგურამოში 11 საათზე გადაიხდიან პანაშვიდს ამავე სკოლის მეორე მოამაგის დიმიტრი სტაროსელსკის სულის მოსახსენებლად. ბ. სტაროსელსკი ამ სოფელშია დაკრძალული. აქვე წარმოსთქვამენ სიტყვას, რომელშიაც აღნიშნავენ ღვაწლს, რომე-

ლიც მიუძღვის განსვენებულს ამ სკოლისადმი.

შუადღისას თვით სკოლის ეკლესიაში გადაიხდიან პარაკლისს. ამის შემდეგ სკოლის დიდ დარბაზში წაიკითხავენ სკოლის დაარსების და მოქმედების ისტორიას.

ამას მოჰყვება მილოცვა სხვადასხვა პირთა და დაწესებულებათაგან. მილოცვის შემდეგ გაიმართება მოწაფეების-მიერ **დილა**. ამ საზეიმო ნაწილის დამთავრების შემდეგ, მოდღესასწაულენი დაათვალიერებენ სკოლის მეურნეობას და გაეცნობიან საზოგადოდ სკოლის საქმეებს.

ასეთია გეგმა მომავალ კულტურულ დღესასწაულისა.

სკოლის დღესასწაული არის იმავე დროს დღესასწაული თვით ამ დიადი საქმის სულის ჩამდგმელის ილია წინამძღვრიშვილისა, რომელმაც სძლია ყოველსავე დაბრკოლებას, არავითარ მსხვერპლს არ მოერიდა და დაუარსა მანამდე უმწეოდ დარჩენილ კუთხეს განმანათლებელი დაწესებულება.

ჭეშმარიტად ეს ამაგი შეუფასებელია. ამ სკოლის დაარსების შემდეგ თვალგაფაციცებით ადევნებდა ყურს ძვირფასი მოხუცი: აბა კიდევ საქართველოს რომელ კუთხეში დაინახავენ ამგვარი სკოლის დაარსების საჭიროებასო?!

მაგრამ ამაოდ ელოდა ჩვენი სოფლის მოამაგე ჩვენი ქვეყნის ამისთანა სკოლებით მოფენას.

ილია წინამძღვრიშვილებისთანა პიროვნება იშვიათი ყოფილა ჩვენს ხალხში...

მაგრამ საკმარისი იყო სადმე გაჩენილიყო ამგვარი საქმის ნასახი, რომ ილია წინამძღვრიშვილი მაშინვე იქ წასულიყო დასათვალიერებლად, რჩევისა და დარიგების მისაცემად.

ამ სტრიქონების დამწერს არასოდეს არ დაავიწყდება, თუ რა ხალისიანად გაემგზავრა ბ. წინამძღვრიშვილი ამ ორი წლის წინად ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრებთან ერთად სოფ. ავლევში, ჩვენს საუკეთესო მეურნესთან, კონსტანტინე ამირეჯიბთან მისგან დაარსებულ სამეურნეო სკოლის სანახავად. ილია წინამძღვრიშვილის იქ მისვლა მის დღესასწაულად გადაიქცა. მაშინდელი სურათი დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში. ამ დათვალიერებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია ავლევის ნორჩ სკოლისათვის.

ასევე თანაგრძნობით ჩვენი მოღვაწე უყურებს პირველი ქართული მეურნე ქალის ეკატერინე ჯანდიერის მოღვაწეობას კახეთში.

ილია წინამძღვრიშვილმა შესწირა სკოლას საკუთარი მიწა—50 დესეტინა, სადაც გამართულია ფერმა, საფუტკრე, გაშენებულია ვენახები, ბაღი, საჩქოლე, ბოსტანი, დათესილია საქონლის საკვები მცენარეულობა და მოწყობილია მეაბრეშუმეობა.

სკოლას აქვს:

1) თლილი ქვისაგან აშენებული ეკლესია, 2) ღვინის სარდაფი 4,000 ვედროს სატევი; 3) საწნახელი, 4) ორი სახლი კლასებისა და მუზეუმისათვის, 5) სახლი მასწავლებელთათვის, 6) სახლი პანსიონისათვის; აქ ერთ ოთახში გამართულია სცენა; სათეატრო დარბაზში 30 ადგილია მაყურებელთათვის; 7) სახაბაზო, 8) სახელოსნოები და 9) აუზი, 35,000 ვედრო წყლის სატევი.

ამ ჟამად სკოლაში 153 მოწაფეა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, არც თავად-აზნაურობა და არც კერძო შეძლებული პირები ისე არ დასტოვებენ ამ დღესასწაულს, რომ არ აღნიშნონ იგი თვალსაჩინო შეწირულებით, რათა შეუწყონ ხელი ამ საუკეთესო დაწესებულებას წარმატების და წინსვლის საქმეში.

ეს გაუხალისებს გულს ჩვენს ღრმად პატივცემულს უანგარო მოღვაწეს ილია წინამძღვრიშვილს ამ მოხუცებულობის დროს და სამაგალითოდ დააგვირგვინებს მომავალ პირველ კულტურულ დღესასწაულს ჩვენი დაბეჩავებული სოფლისას...



**სოფ. ავლევი** (გორის მაზრა).

ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრნი კონსტ. ამირეჯიბის მამულში. (სამეურნეო სკოლის დათვალიერების დროს).

მეორე რიგში სხედან (**მარჯვნიდან მარცხნივ**): სვ. ვახვახიშვილი, კონსტ. ამირეჯიბი, ილია წინამძღვრიშვილი, დიმ. ჩოლოყაშვილი. მესამე რიგში სდგანან (**მარჯვნიდან მარცხნივ**): მესამე—სვ. ხუნდაძე, მის გვერდით ინჟ. გრ. ქურდიანი.

# ერი და პიროვნება

(ნაფიქრი).

ორ-ფეხ, ლაპარაკის ნიჭით დაჯილდოებულ არსებას, თუ მას პიროვნება არა აქვს, კიდევ არ შეგვიძლია ადამიანი ვუწოდოთ. მხოლოდ პიროვნების მოპოებით იქცევა ხსენებული არსება ადამიანად. ამ პიროვნების დაკარგვა ან შეძენა კი თვით მის ხელშია: თუ ის შეიძლებს, რომ აწმყო მისი ცხოვრება და პირადი არსებობა ზეციდან კი არ ჩამოვარდნილა და შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს, არამედ-შედეგს შორეული წარსულისას, მისი წინაპრების მრავალ-ნაირი გამოცდის, ტანჯვა-წვალების და ღირსება—ნაკლულევანების ნაყოფს, მაშინ, მხოლოდ მაშინ, იგრძნობს ის, თუ რა იდუმალი კავშირით ყოფილა მისი აწმყო წარსულთან დაკავშირებული, მაშინ ის შეიგნებს, რომ მისი არსებობა განყენებულს და დამოუკიდებელ შემთხვევით მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ რთულ ისტორიულ არსს, რომელშიაც წარსულსა და აწმყოს გონივრად ერთი მეორესათვის ხელი მიუციათ მომავლის გამოსარკვევად.

ვინც ამ რიგად გადააბამს და გადაადუღებს წარსულს აწმყოსთან მომავლის გასათვალისწინებლად, ის თვით განუყოფელი ხდება ამ სამი დროისაგან; ის იდეურად სამივეში არსებობს. მას კერძო „მეს“ გარდა ებადება **იდეური საზოგადოებრივი „მე“** ც. თუ პირველი „მე“ საჩუქარია თვით ბუნების, მეორე თვითონ ადამიანმა უნდა შეიძინოს; რამოდენად პირველი ორგანიული რამ არის, იმოდენად მეორე ინტელექტუალურია; პირველი ემსგავსება სხეულს, მეორე კი სულს; და როგორც სხეული უსულოდ—ლეშია, სული კი სხეულს გარეშე წარმოუდგენელია, აგრეთვე ეს ორი „მე“ განუყრელი უნდა იყოს ერთი მეორესაგან ადამიანში, თუ მას სურს თავის თავს შინაგნათ პატივი სცეს.

თუ მას ორივე „მე“ განსაზღვრული, აწონ-დაწონილი და ერთი მეორესთან შეთანხმებული აქვს, მაშინ ის თავის პიროვნებას თითონ აკანონებს და იმავე დროს შეუმჩნევლად სხვებსაც ახრევინებს ქედს თავის წინაშე. ორივე „მე“-ს მქონე, ე. ი. **პიროვნება** ანდამატივით ჰხიბლავს და იმორჩილებს სხვას თავის სულიერი სიმდიდრითა და ძლიერებით; მას სიკვდილის არ ეშინია, რადგან ეს **სიკვდილი მის თვალში რეალის ინტელექტათ ქცევაა,** კერძო „მე“-დან საზოგადოებრივ „მე“-ში გადასვლა; თუ დღეს ის საკუთარი ფიზიკური ერთეულია, ეგრედ წოდებულის სიკვდილის შემდეგ ის ინტელექტათ ქცეული საზოგადოებრივ „მე“-ს შემადგენელ ნაწილად ხდება, ის გადადის მომავალში ისე, როგორც მასში წარსული გადმოსულა; თუ ის შვილია თავის ერის წარსულის, იმ გარემოებითვე მამაც არის თავის ერის მომავლის; მას, ერის შექმნილს ერივე შთანთქავს, როგორც თავის განუყრელს ნაწილს. როგორც ინტელექტი ის ცოცხალია, სანამ თვით ის ერი, რომლის ნაწილსაც ის შეადგენს, ცოცხალია; ამ ერის სიკვდილი მისი სიკვდილია და ერის სიცოცხლე მისივე სიცოცხლე; აი რა შეუძლია „მე“-ს განსაზოგადოებრივებას.

სამაგიეროდ: ადამიანი, რომელსაც არაფრად ჩაუგდია და არ შეუსწავლგაუთვალისწინებია წარსული, მას აწმყო შემთხვევით მოვლენათ მიაჩნია და მომავალზედ ხომ სრულებით არა აქვს წარმოდგენა, რის გამო არც შეუძლია იწამოს იგი. ამგვარი ადამიანი მხოლოდ აწმყოს უსუსური და ყურმოჭრილი ყმა არის. რადგან მას თავის „მე“-ს განსაზოგადოებრივება არ შეუძლია, ამიტომ მხოლოდ კერძო, ეგოისტურ „მე“-ს ებღაუჭება. მას სიკვდილის ეშინია, რადგან ინსტინქტიურად ჰგრძნობს კერძო „მე“-ს ფარგლების სივიწროვეს და გარდამავლობას. სიკვდილის წინაშე შიში, რომ თავიდან აიცილოს, ის ლოცულობს, მაგრამ ამაოდ: ვერაფერი ვერ შემოსავს მის სულიერ სიტიტვლეს და ობლობას. ის მუდამ მარტოდაა და რამდენადაც გაურბის სიკვდილს, იმდენად უფრო და უფრო უახლოვდება მას ეს სიკვდილი. ობოლმა ადამიანმა სულის დასამშვიდებლად ხელოვნების გამოყენებაც მოინდომა, მაგრამ ხელოვნება მთლად პალიატივი გამოდგა ამ საქმისათვის; ფილოსოფია, მარტო ცივი ფილოსოფიაც უძლური გამოდგა სიკვდილის წინაშე შიშისაგან გამოწვეული „დაწყევლილი კითხვის“ გამოსარკვევად. სიკვდილის კლანჭებიდან ადამიანი ვერაფრით ვერ გამოგლიჯა. საცოდავი მაინც სიკვდილის მონაა და იქნება მანამდის, სანამდის კერძო „მე“-ს სამფლობელოს არ გასცილდება.

**სამაგიეროთ თუ მას სურს სიკვდილის ცელის შეხედვაზე არ ცახცახებდეს, აუცილებლად უნდა განსაზოგადოებრივდეს, ე. ი. ღრმად შეიგნოს და შეიყვაროს ისტორიული „მე“ და მისი შემადგენელ ნაწილად ქცევა ბედნიერებად ჩაითვალოს.**

**ა. ლ—ძე.**

# ერთი უღირსი საქციელის გამო.

„თემის“ უკანასკნელმა წერილმა, რომელიც მიმართული იყო გაზ. „განთიადის“ რედაქციისადმი და შეეხებოდა ამხანაგურ განსამართლების წინადადებას, გამოიწვია მეტად უგვანო შენიშვნა გაზ. „იმერეთის“ მხრით.

მკითხველებმა კარგად იციან „თემის“ შეხედულება ამ ორგანოზე, ამიტომ იქნებ გაიკვირვონ, რომ ვუწევთ ანგარიშს მის ნათქვამს.

მართლაც, რას უნდა წარმოადგენდეს ის გამოცემა, რომელსაც ერიდებიან თვით ზოგიერთი მისიანნიც კი?!..

მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ყურამდის მოაღწია სასიამოვნო ხმამ, რომ გაზ. „იმერეთის“ რედაქციაში შევიდნენ ახალგაზრდა მომუშავენი, რომელნიც პრინციპებს არ უღალატებენო.

ჩვენ გულის ფანცქალით ვადევნებდით თვალყურს ამ გამოცემას, იქნება ეშველოს რამე-თქო. რამდენადმე ცვლილებაც კი დავატყეთ, მაგრამ, საუბედუროდ ამას წინად ისეთი რამ აღმოვიკითხეთ ამ ორგანოს ფურცლებზე, რომლის მოწმენი არა ვყოფილვართ ძველ ხელმძღვანელთა თვით-მპყრობელობის დროსაც.

ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, რაოდენის სიფრთხილით სწერენ „თემში“ ყველაფერზე, რაც კი შეეხებოდა ილიას ხსოვნას და მის სახელის გარეშემო ამტყდარ კამათს.

რამდენჯერმე იყო განმეორებული, რომ „თემს“ თავის ფურცლებზე არ შეუძლია პირდაპირ მოიყვანოს ის სიტყვები და დახასიათება, რომელიც აკადრა განსვენებულ მოღვაწეს ფ. მახარაძემ და მისმა „მოგზაურმა“.

არ შეეძლო, რადგანაც პატივს სცემს განსვენებულ მწერალს, თავის მკითხველს, თავის გამოცემას, თავის თავს—იმდენად უაზროდ, დასაგმობად და უღირსად მიაჩნდა ეს სიტყვები!..

განმეორებას ამ სიტყვებისას, ილიას სახელთან ერთად მათი მოყვანას თუნდ მისი წარმოთქმულის გმობისთანავე, დაუვიწყარ მოამაგის უპატივცემულობად სთვლიდა.

ახლა, მოურიდებელი გაზ. „იმერეთი“ გამომდგარა, აუკინძავს „მოგზაურ“—მახარაძის მიერ ნახმარი მარგალიტი სიტყვები, და გაკვირვებული გაიძახის—„რა უნდა გამოიკვლიოთ? ის, რომ ილია ჯაშუში იყო თუ არა?“ არცა ჰგრძნობს, „იმერეთი“ რომ ეს პროვოკაციაა.

რა უნდა მოჰკითხოთ თქვენ უბრალო მკითხველს, როდესაც თვით მთელი ორგანოს რედაქციაც კი ვერ მიმხვდარა ყველა ამას.

რამდენჯერმე ხაზ-გასმით აღნიშნული იყო „თემში“ **საჭიროა მშრომელი მასისათვის გამოირკვეს მარტოდმარტო ილიას და გლეხების ურთიერთობა, იყო იგი სასტიკი მემამულე, როგორც ამას ამტკიცებენ ფ. მახარაძე და მისიანნი თუ არაო.** „თემი“ თუ გამორკვევას მოითხოვს სახეში აქვს ილიას ხელით დაწერილი წერილების გამოძებნა რომელიც ამ საგანს შეეხება, იმ ხელ-შეკრულობათა მოპოება, რომელიც ილიას და მოიჯარადრე გლეხებს ჰქონდათ, შეგნებულ სანდო უმწიკვლო **მიუდგომელ** პირების გამოკითხვა ამ საგნის თაობაზე და სხვ.

„იმერეთს“ კი ჰგონებია, რომ შეიძლება გამოესარჩლო მოღვაწეს, თავი დასდო მისთვის და თანაც ოდნავ მაინც საეჭვოდ მიგაჩნდეს მისი ზნეობრივი სპეტაკი პიროვნება, არ იცოდე ნამდვილად, ჯაშუში იყო იგი თუ არა....

საბრალო „იმერეთი“ და მისი მკითხველები!...

აი სწორედ ამაზე ითქმის: „სთქვა რუქამ არაკიო!“

მერე ამავე ორგანოს ვერ გაუგია „თემის“ წინადადების დედა-აზრიც. „თემის“ რედაქციამ, თუ მიუთითა ამხანაგურ განსამართლებაზე, ეს იმიტომ, რომ მას სურს გამონახოს ისეთი საშუალება, რომლის მსჯავრი შეიქნება ავტორიტეტული და სავალდებულო ორივე მხრისთვის. როგორც ჭეშმარიტ დემოკრატიზმის აღმსარებელს „თემს“ სწამს, რომ ჭეშმარიტი დემოკრატია ყველა ქვეყნებისა **ერთი მორალის და ერთი ეთიკის** პრინციპებზეა აშენებული.

ეს კი არა!.. ჩვენ დარწმუნებული ვართ „თემი“ მიჰმართავდა საერთაშორისო ჭეშმარიტ დემოკრატიასაც, ჩვენს პირობებში შესაძლებელი რომ ყოფილიყო. თუ უჩვენებენ სხვა გზას „თემი“, უეჭველია, დაემორჩილება.

ეჰ, მახლას! ან „ეს, რაცა ვსთქვი, რადა ვსთქვი“...თუ ესეც ვერ გაიგეს გაზ. „იმერეთში“?!

ან იქნება ახალი ხელმძღვანელნი არაფერს შუაში არიან და მათ ჯერ-ჯერობით ვერ აუღიათ ძველებისაგან აგებული „ციხე-სიმაგრე“?!

**მოკეთე.**

# როგორ გააქრეს ცხოველმყოფელი ძალა.

(„სკოლა და ცხოვრება“, № 41, 19.2).

თვალცრემლიანი ახალგაზდა **ქალი** იდგა №-ს გიმნაზიის კარებთან და გრძელ დერეფანს მისჩერებოდა. მის სახეზე ღრმა მწუხარება და ნაღველი გამოიხატებოდა.

მას გიმნაზიაში უნდა მიებარებია თავისი ერთად-ერთი შვილი და გულდაწყვეტილი სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა იმ სად გონებრივსა და ზნეობრივ აღზრდას, იმ წრფელ გრძნობასა და აზრს, რომელიც მას ასე უხვად ჰქონდა ჩანერგილი თავის საყვარელ ბიჭიკოს სულსა და გულში.

კეთილი და გონიერი დედა ერთგვარის პატივისცემით ეპყრობოდა მდიდარსაც და ღარიბსაც, ჩინოსანსაც და მდაბიოსაც; ამით იგი მაგალითს აძლევდა თავის შვილს, რათა მასაც აგრეთვე ერთგვარად და განურჩევლად ჰყვარებოდა ყველა ადამიანი.

დედა ყველანაირად სცდილობდა, რომ მის პატარა ბიჭიკოს ადამიანური სახე არ დაეკარგა, ძალიან ფრთხილობდა, რომ შვილის ნორჩ ბუნებაში არამც და არამც ერთი ღვთიური ნაპერწკალიც კი არ ჩამქრალიყო, და ყოველ ძალ-ღონეს ხმარობდა, რომ თავისუფლად განევითარებინა ბავშვის გრძნობა-გონება.

კეთილი, ჯანმრთელი და მხიარული ბავშვი იზრდებოდა ლადიკო და თავისი სიცხოველით ყველას მხიარულებას ჰგვრიდა, ქვეყნიერება მას ვარდის ფრად ეხატებოდა. ყველა ამხანაგებთან ლადიკო კარგ განწყობილებაში იყო, არ არჩევდა იმას, თუ ვინ რა შეძლების დედ-მამის შვილია, ან ვინ როგორ არის ჩაცმული, ყველა ერთგვარად უყვარდა.

გიმნაზიაში მისვლამდე ლადიკოს ვერც კი წარმოედგინა შრომის სიძნელე ან კიდევ ის, თუ რომელიმე საგანი მოსაწყენი იქნებოდა. ყოველივე მისი მეცადინეობა მის ნორჩ სულის მოთხოვნილებას ეთანხმებოდა. დედის გაკვეთილების დრო მისთვის მთელი სიცოცხლის საუკეთესო წუთებად უნდა ჩაითვალოს.

დედა წაიყვანდა ხოლმე პატარა ლადიკოს ხან ტყეში, ხან მინდორში, ხან მინდვრის პირას და იქ თვალსაჩინოდ ესაუბრებოდა ხოლმე ბუნების მოვლენებზე; მიჰყავდა აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებში და უამბობდა ყველაფერს: აქ იგი ბავშვის ყურადღებას აქცევდა მუშების აუტანელ შრომას.

ან-ბანის შესწავლის დროს ლადიკოს არავითარი სიძნელე არ უგრძვნია. ისეთი მოსაწყენი საგანიც კი, როგორიც ანგარიშია, დედამ ისეთ მშვენიერ ენით და მარტივად გადასცა ბავშვს, რომ არამც თუ არ მოაწყინა, არამედ დააინტერესა კიდეც ამ საგანში.

შვილის ზრდასთან ერთად დედის ფიქრებიც იზრდებოდა. იგი ჰფიქრობდა, რომ მალე თავისი ძვირფასი ლადიკო გიმნაზიაში უნდა მიებარებინა, სადაც მის ნორჩ ბუნებაში სისტემატიურად ჩააქრობდენ ყველა იმ ღვთიურ ნაპერწკალს, რაც მის სულსა და გულში ჰღვიოდა.

მაგრამ რას იქმდა საბრალო დედა, როგორ მოჰკლავდა ზნეობრივად თავისს საყვარელ შვილს? როგორ შესძლებდა მოეკლა იგი განათლების საშუალებას? განა მერე შვილი არ უსაყვედურებდა ამაზე დედას, რომ მან საშუალება არ მისცა სწავლის მიღებისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ მოღვაწეობისა, რასაც ასე მძლავრად ეწაფება ყველა ცხოვრებაში ახლად შესული პატიოსანი ადამიანი?..

მეტი გზა არ იყო. გულდაწყვეტილმა დედამ თვითონვე მიიყვანა თავისი ძვირფასი ლადიკო გიმნაზიაში, სადაც იგი პირველ კლასში მიიღეს.

ლადიკოს მისვლა გიმნაზიაში დირექტორს გაუხარდა. მისი შვილიც პირველ კლასში იყო და მიტომ უხაროდა, რომ შვილს კარგი ამხანაგი უშოვა. გარდა ამისა, ლადიკოს მამა მთელ ქალაქში გავლენიან კაცად ითვლებოდა. დირექტორმა ლადიკო თავისი შვილის გვერდით დასვა და ორთავეს ურჩია ერთმანეთისათვის კეთილი მეგობრობა გაეწიათ.

პირველ კლასის მოწაფეთა უმრავლესობას ესმოდა მდიდართა და ძლიერთა მნიშვნელობა. მათს თვალში ყველაზე ძლიერ პიროვნებათ დირექტორი ითვლებოდა, მის ხელში იყო მათი სვე-ბედი, და რადგანაც იგი მკაცრი ადამიანი იყო, ამიტომაც ძალიან სძულდათ.

ბავშვებს სძულდათ აგრეთვე დირექტორის შვილიც მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დირექტორის შვილი იყო, სძულდათ ყველა ის ამხანაგიც, ვინც მასთან მეგობრულ კავშირს დაიჭერდა. ერთის სიტყვით, ბავშვები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ მრისხანე დირექტორის ჯავრი მის შვილზე ამოეყარათ.

ახლად მოსულმა ლადიკომ არ იცოდა ასეთი სიმძულვარე. იგი არ არჩევდა ვინ რა კაცის შვილი იყო და ამიტომ თავისს ახალ ამხანაგს ყველაფრით გულს უგებდა, ასიამოვნებდა. მაგრამ ყმაწვილი შემდეგში მალე მიხვდა, რომ მისი მეგობრობა დირექტორის შვილთან არც ისე სასიამოვნო იყო დანარჩენ შეგირდების თვალში. ამხანაგებმა ჯერ ჩუმ-ჩუმათ დაუწყეს დაცინვა და შემდეგ კი პირშივე ეძახდნენ სხვა და სხვა უშვერ სახელებს: „დირექტორის ჯაშუშო“, „მაჭანკალო“, „ენატანია“ და სხვ.

საწყალი ლადიკო პირველში ვერ მიმხვდარიყო, თუ რაშია საქმე. მას ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინა, თუ რით დაიმსახურა ამხანაგების ასეთი სიძულვილი. ბავშვი ძალიან სწუხდა ამხანაგების ასეთ უსამართლობაზე და თავის თავს ყველაზე უბედურად სთვლიდა მთელს გიმნაზიაში. ამიტომაც იგი უფრო დაუახლოვდა თავისს ერთად-ერთ გულითად მეგობარს, დირექტორის შვილს, რომელთანაც შეეძლო ძმურად გაეტარებინა დრო.

მოწაფეების სიძულვარე ლადიკოსადმი უფრო და უფრო ძლიერდებოდა კიდევ იმიტომ, რომ ის მონაწილეობას არ იღებდა ხოლმე მათს საძაგელ ოინებში, რომელთაც ისინი მასწავლებლების შესარცხვენ დასამცირებლად აკეთებდნენ. მხოლოდ წლის დამლევს მიხვდა ლადიკო, თუ რანაირი ურთიერთობა სუფევს მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის. ახლა იგი ნათლად ჰხედავდა, თუ რატომ დასცინოდნენ მას ამხანაგები. მაგრამ მან მაინც არ შესწყვიტა მეგობრული კავშირი დირექტორის შვილთან. იგი მას ეცოდებოდა. გარდა ამისა, დირექტორის შვილი მშვენიერი ხასიათის ყმაწვილი იყო. ისინი ორთავენი ერთს ტაფაში იწოდნენ და ამიტომაც უფრო შეეთვისნენ ერთმანეთს.

რასაკვირველია დირექტორისგან შეუმჩნეველი არ დარჩა ლადიკოს მშვენიერი ზნეობივი თვისებანი და, რათა უფრო დაეახლოვებინა იგი თავის შვილთან, მას თავისთან სახლშიაც კი ეპატიჟებოდ ხოლმე.

ლადიკო თავის სიცოცხლეში პირველად განიცდიდა ამხანაგების სიმძულვარეს და ამიტომ ძალიან სწუხდა. იგი ხშირად უამბობდა ხოლმე დედას თავისს ჭირვარამზედ და ამ დროს დედის სახეზე ღრმა მწუხარებას ამჩნევდა ხოლმე. ყმაწვილი გრძნობდა, რომ დედას იგი ძალიან ებრალებოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ უშველიდა. ამიტომ ლადიკომ გადასწყვიტა თავისი დარდები გულშივე მოეკლა და დედისათვის აღარ შეეჩივლა, რათა აღარ დაენაღვლიანებინა.

და მერე სად იყვნენ ამ დროს მასწავლებლები? როგორ უყურებდნენ ისინი ამ გარემოებას? დაიცვეს თუ არა ბავშვი ასეთ ატმოსფერისაგან? აუხსნეს თუ არა შეგირდებს მათი ამგვარ საქციელის სიმკაცრე და უსამართლობა? განუმარტეს თუ არა ამ ნორჩ ხალხს მაცხოვრის დიდი მცნება, მოყვასისადმი სიყვარული, ადამიანის ცხოვრების მიზანი?—სრულებითაც არა. ჩვენს სასწავლებლებში მასწავლებელთა და მოწაფეთა ცხოვრება სულ სხვა და სხვა გზით მიმდინარეობს.

მასწავლებლები დინჯის ან ჩქარის ნაბიჯით შედიან ხოლმე კლასში, უგულოდ და მშრალად ეკითხებიან გაკვეთილს და შემდეგ სხვა ახალ გაკვეთილს აძლევენ. ისინი თავიანთ საგანს ოფიციალურად, მოხელეურად ეპყრობიან; მათს გაკვეთილებში არავითარი სიცხოვლე, არავითარი გრძნობა არ გამოსჭვივის, ისინი ვერ აინტერესებენ ბავშვებს და ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ გაკვეთილების დროს მოწყენილად და უგულოდ სხედან. ასე სცხოვრობს სრულიად სხვა და სხვა ინტერესებით და მისწრაფებებით გაჟღენთილი და მრავალ წლით ერთმანეთთან შეჭედილი ეს ორი ერთმანეთის მოძულე ბანაკი.

როცა ბავშვები ხალხში არა ჰხედავენ სიყვარულს და ადამიანობას, მაშინ ისინი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ სამღრთო სჯულის მასწავლებლების წერთნა-დარიგებას: ისინი ჰხედავენ, რომ არავინ სცხოვრობს ქრისტეს მცნების თანახმად, არავინა ჰფიქრობს თავის მოვალეობაზე ღვთისა და ხალხისადმი. ამიტომაც ეს დიადი მცნება სიყვარულისა და სამართლიანობისა ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მათში. ყმაწვილები სამღრთო სჯულის გაკვეთილების დროს უფრო მეტს მოწყენილობას გრძნობენ, ვიდრე სხვა დროს. არავინ ამჩნევს იმას, თუ როგორ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დააინტერესო ბავშვის გონება, ჩაუნერგო მას გულში უმანკოება და წრფელი სიხარული, რომ იგი ცუდ ხასიათს არ გაჰყვეს და არ მოიშხამოს ცხოვრება.

მხოლოდ მარტო გიმნაზიის შვეიცარი პეტრე მიხვდა, რომ ბავშვების ამ უაზრო და მოსაწყენ ცხოვრებიდან მას შეეძლო სარგებლობა ენახა.

მოწაფეები ხშირად შერბიან ხოლმე პეტრეს ოთახში, სადაც მას ბლომად ეშოვება: არაყი, თუთუნი, თევზი, წნილი და სხვ. და აქ ატარებენ ხოლმე დროს. ამიტომაც პეტრეს ოთახს კლუბი დაარქვეს.

ლადიკოც ბევრჯერ მიიპატიჟეს ამხანაგებმა თავიანთ „კლუბში“, მაგრამ ვერც თხოვნით და ვერც მუქარით არაყი პირთან ვერ მიატანიეს. ბევრი დაცინვა და ცემა-ტყეპაც კი გამოსცადა ლადიკომ ამხანაგებისაგან ამის გამო, მაგრამ ყველაფერს ითმენდა. მას ის აზრი უტრიალებდა თავში, რომ ასეთი ცუდი ხასიათი არ შეეთვისებინა, რათა ამით თავისი საყვარელი დედა არ დაემწუხრებინა.

რამდენადაც გიმნაზია მას დროს უკარგავდა და საშუალებას არ აძლევდა რაიმე სასარგებლო შრომისათვის მიეყო ხელი, იმდენად ლადიკო უფრო და უფრო ხალისით ეჩვეოდა იმ გარეგნულ, უშინაარსო ცხოვრებას, რომელსაც თავისი ამხანაგის, დირექტორის შვილის ოჯახში ჰხედავდა: პრანჭვა-გრეხიობას, ცეკვათამაშს და სხვა და სხვაგვარ სპორტს.

საბრალო დედას გული ნაღვლით ევ-

სბოდა, როდესაც ჰხედავდა, რომ მისი ოცნება და იმედი ასე ხელად ჰქრებოდა. იგი მაინც სცდილობდა, რომ როგორმე დაეინტერესებინა შვილი რომელსამე ხელოვნებით ან სასარგებლო შრომის მიეჩვია, მაგრამ ამაოდ: გიმნაზიამ ჩააქრო მასში ყოველივე სიყვარული მეცნიერებისადმი და იმ გაანჩხლებულ ამხანაგთა წრემ კი მას გული აუცრუა ყოველგვარ შრომაზე. დედა მ.რტო იმით-ღა ნუგეშობდა, რომ მისი შვილი სხვა უფრო ცუდსა და დაბალ ხასიათს არ ითვისებდა; მას უხაროდა, რომ ყმაწვილში ჯერ კიდევ საკმაოდ ჰღვიოდა სიყვარულისა და სამართლიანობის ნაპერწკალი.

ერთხელ, როდესაც ლადიკო უკვე მეექვსე კლასში იყო, მისმა ამხანაგებმა ერთ მასწავლებელს საძაგელი ოინი გაუკეთეს. ამ საქმეში ლადიკო თუმცა არ ერია, მაგრამ კარგად იცოდა მისი მოქმედნი. სკოლის მთავრობამაც, რასაკვირველია, ლადიკოს მიმართა და სთხოვა დაესახელებინა დამნაშავენი. მრავალი ხერხი და ოსტატობა იხმარეს, მრავალი სულიერი ტანჯვა მიაყენეს, მაგრამ ვერანაირად ვერ გამოსტეხეს იგი. ლადიკო ეუბნებოდა: თუმცა კი ვიცი ვინც იყვნენ, მაგრამ ამხანაგების გაცემა არ შემიძლიანო.

როცა დახედეს, რომ ვერც ერთი საშუალება ვერ გაუვიდათ, ბოლოს საღმრთო სჯულის მასწავლებელს მიმართეს. მღვდელი საღვთო წერილიდან ტექსტების მოყვანით უმტკიცებდა ბავშვს, რომ იგი მოვალეა გასთქვას ამხანაგები. წინააღმდეგ შემთხვევაში მღვდელი ჯოჯოხეთის გეენით ემუქრებოდა. ასეთმა ანტიქრისტიანულმა სიტყვებმა ლადიკო ვერ შეაცდინეს: მას მოჰყავდა მაცხოვრის დიადი მცნება, რომ კაცმა სამოცდა შვიდმეტჯერ და უფრო მეტჯერაც უნდა აპატიოს დამნაშავესო. მღვდელი ბრაზდებოდა და უფრო მეტ სულიერ ტანჯვას აყენებდა საწყალ ბავშვს.

ასეთმა სულიერმა და ზნეობრივმა ტანჯვა-წამებამ ლადიკოს ნერვები დაუსუსტა და ლოგინად ჩააგდო. ავადმყოფი ბოდავდა. მას თვალწინ ედგა ის აუტანელი ტანჯვა, რომელიც მასწავლებელმა და მღვდელმა მიაყენეს. ლადიკო თვეზე მეტი იყო ავათ, საშინელი ნერვების სისუსტით და შემდეგ, როცა უკეთ შეიქმნა, მის თვალში გიმნაზია რაღაც ჯოჯოხეთურ სატანჯველ უფსკრულს წარმოადგენდა.

მხოლოდ შემდეგ სამოსწავლო წლიდან შესძლო ლადიკომ სწავლის გაგრძელება; ზაფხულში მოემზადა და შემოდგომაზე მეშვიდე კლასში შევიდა. დედა ურჩევდა, გიმნაზიას თავი დაანებე, მაგრამ ლადიკო არ დათანხმდა. მას უნდოდა გიმნაზია დაემთავრებინა, რომ უნივერსიტეტში შესვლის უფლება მიეღო, რაც მისი დიდი ხნის ოცნებას შეადგენდა.

ავადმყოფობის შემდეგ ლადიკო აღშფოთებული სულით მივიდა გიმნაზიაში. მან გადასწყვიტა ებრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ და დაეცვა თვისი პიროვნება და ამხანაგებიც ყოველგვარ შეურაცხყოფისა და დამცირებისაგან. ადრინდელი მისი მშვიდობიანობა ეხლა მრისხანებათ შეიცვალა. ეხლა კი იგი მასწავლებლებს სრულებითაც აღარ ერიდებოდა და პირშივე ამხელდა მათს უსამართლობას. ლადიკოს წყალობით, მათი მოხელური საქციელი ყველასთვის აშკარა ხდებოდა. ყმაწვილის ასეთი საქციელი მეტის მეტად ახელებდა მასწავლებლებს და ამიტომაც ისინი უფრო მკაცრად და შურისძიებით ეპყრობოდნენ, ეს კიდევ უფრო მეტად აშფოთებდა ლადიკოს და ამრიგად, მასწავლებელთა და ლადიკოს შორის ურთიერთობა უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებდა.

გიმნაზიამ ყმაწვილს არავითარი მაღალი იდეალი არ ჩაუნერგა, რომ იგი სასარგებლო შრომისკენ მიეზიდნა და სხვა და სხვა მდაბალ ხასიათისაგან გადაერჩინა. ირგვლივ სიმდაბლე და მოწყენილობა სუფევდა. მოწაფეები ვერავითარ ცხოვრების ხელმოსაკიდ მიზანს ვერ პოულობდნენ და ამიტომ ქალალდის თამაშში და ლოთობაში ატარებდნენ დროს. ლადიკოც ასეთ ფუჭ, გათახსირებულ ცხოვრებას შეეჩვია. იგი ხშირად იგონებდა ხოლმე იმ ბრწყინვალე, წრფელ ოცნებებს, რომელნიც მას პატარაობისას თავში უტრიალებდა. მაგრამ ყველა ეს გაქრა საძუდამოდ...

ეხლა ლადიკოს ოცნებას — შეადგენდა სიმდიდრე, ჩინი, დიდება, პატივი. როდესაც დედასთან საუბრობდა ხოლმე მომავალზე, იგი ნათლად ჰხედავდა, რომ მის და დედის შუა უკვე გაწყვეტილი იყო ის სულიერი კავშირი, რომელიც წინად მათ წრფელ სიხარულს ანიჭებდა. მან ყოფნა მისთვის აუტანელი ხდებოდა. დედის დაღვრემილი სახე მისთვის მძიმე გაკვეთილს შეადგენდა და ამიტომაც ის ხშირად ამხანაგებთან მირბოდა ხოლმე დროს გასატარებლად და გულის გადასაყოლებლად.

გიმნაზიაშიც მას ყველაფერი სძაგდა. საშინლად სძულდა მასწავლებლები და ხშირად ეკამათებოდა ხოლმე მათ. ბოლოს ერთ უდიერ საქციელისა გამო მას ყოფა-ქცევაში ნიშანი დაუკლეს. ამ გარემოებამ საბოლოოდ გააბრაზა ბავშვი და უფრო ცუდ გზისაკენ გადაახვევინა. ეხლა ის ყოველგვარად სცდილობდა, რომ შური ეძია და სამაგიერო გადაეხადნა ყველა იმისთვის, ვინც მას ჩაუშხამა ბრწყინვალე სიყმაწვილე, წმინდა სიყვარული ხალხისადმი, ვინც გამოასალმა იგი სიმშვიდეს და ბედნიერებას.

ყველაზე მეტად მას საღვთო სჯულის მასწავლებელი სძულდა, რადგანაც გრძნობდა, რომ ყველაზე მეტი დანაშაული მის გათახსირებაში სწორედ ამ მასწავლებელს მიუძღოდა. ამიტომაც ლადიკო სულ მცირე მიზეზსაც კი ეძებდა, რომ იგი დაემცირებინა და ხშირად უხერხულ მდგომარეობაშიც აყენებდა ხოლმე.

ერთხელ ლადიკოს კამათი მოუხდა საღვთო სჯულის მასწავლებელთან სიკვდილით სასჯელის შესახებ. ამის გამო ყმაწვილი გიმნაზიიდან დაითხოვეს და სხვა სასწავლებელში შესვლის უფლებაც მოუსპეს. ახლა კი მან ნათლად დაინახა, რომ მასწავლებლებმა იგი პირდაპირ სასიკვდილოდ გაიმეტეს, ყოველივე იმედი მოუსპეს.

საბრალო ლადიკოს გაუქრა უკანასკნელი იმედი მომავალ ბედნიერებისა, რომელიც მომავლის გზას უნათებდა, — უნივერსიტეტი, რომელიც მის თვალში მეცნიერების წმინდა ტაძრად იხატებოდა და რომლის საშუალებითაც იგი ჰფიქრობდა ბედნიერების მოპოებას, ეხლა ფიქრადაც არ ღირდა მისთვის.

დედა სცდილობდა, როგორმე შვილი მარტივსა და მყუდრო ცხოვრებას მიეჩვია, მაგრამ ასეთი ცხოვრება ყმაწვილს ველარ იზიდავდა. ლადიკო დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ძლიერსა და მედგარს შეეძლო ბედნიერების მოპოება, მაგრამ გიმნაზიაში განცდილმა ჭირვარამმა მას გული გაუტეხა და ყოველივე წადილი დაუკარგა ბრძოლისადმი. სასოწარკვეთილებამ მოიცვა ლადიკო და ხშირად მის თავში თავისმოკვლის განზრახვა იბადებოდა ხოლმე.

ერთ მშვენიერ ბრწყინვალე მაისის დღეს, რომელიც ადამიანის გულს იმედებით ავსებს და ბედნიერების წყურვილს უღვიძებს, ლადიკომ სიცოცხლესთან ანგარიში გაასწორა.

აი რა დასწერა სიკვდილის წინად:

„ძვირფასო დედა! ვიცი შენ კარგად მიხვდები ჩემი ასეთ მოქმედების მიზეზს. უღვთო ადამიანებმა ხელიდან გამომგლიჯეს ყველა ის ბედნიერება და უმანკოება, რომელსაც შენ პატარაობისას ნორჩ სულში მინერგავდი. ეხლა მე ვეღარაფერი შემიძლია მოგცე დარდისა და ნაღვლის მეტი. ჩემი სიცოცხლე ეხლა აღარავის არგია. მაპატიე. შენი ლადიკო“.

**ბაგრატ ბეთანელი.**

# ახალი ამბები.

ბულგარელების და ოსმალოების მოლაპარაკება საზღვრების შესახებ დამთავრდა, შეთანხმდენ.

---

„კავკაზის“ 6 და 7 სექტემბრის ნომრებში დასტამბულია ა. სტრელბიცკის წერილები ხიზნობის მოსპობის შესახებ, გამოქვეყნებულია თვით კანონ-პროექტიც. ა. სტრელბიცკი ეკამათება თბილ. გუბ. თავადაზნაურობას მისი აზრის ხიზნობის შესახებ. მას უკვირს, როგორ უნდა დაიღუპოს თავად-აზნაურობა, როდესაც ხიზნების რიცხვი მთელ საქართველოში არ აღემატება 6 ათასს კომლს, რომელთაც მიწა უჭირავთ არა უმეტეს 24 ათას დესეტინისა, მთელს თავად-აზნაურობას კი უჭირავს მილიონ ნახევარი დესეტინა მიწა. თბილ. გუბერნიაში ხიზნების თვითოეულ კომლზე მოდის — 5 დესეტინამდე, ქუთაისისაში კი — 2 დეს.-მდე. ხიზნების მიწების გამოსყიდვას დასჭირდება 2 მილიონამდე. კანონპროექტის აზრით ხიზნობა უნდა ჩაითვალოს მოსპობილად ამ წლის 1 იანვრიდან. თავად-აზნაურობა თხოულობდა, რომ ხიზნების თვითოეულ კომლს ჰრგებოდა მიწა არა უმეტეს ერთი დესეტინისა. ეს აზრი შემუშავდა გ. ბაგრატიონ-დავითიშვილის მარშლობის დროს. ხიზნობის საკითხს ჩვენ ვუძღვნით ცალკე წერილს.

---

ამ ჟამად თბილისში იმყოფება მშრომელი ჯგუფის თავჯდომარე დეპუტატი ალექსანდრე კერენსკი. მას სურდა სათათბიროს მოქმედების შესახებ ლექციები წაეკითხა, მაგრამ ნება არ დართეს. გ. კერენსკი ეწვია ჩვენს რედაქციას. ამ დღეებში მიემგზავრება ქუთაისს.

---

გაზ. „რუსკოე სლოვოში“ და „დენში“ დაბეჭდილი იყო ამასწინად მშრომელ ჯგუფის მიერ შემუშავებული საანკეტო ფურცელი სხვა და სხვა ეროვნულ ჯგუფთა გაერთიანების მიზნით ჭეშმარიტ დემოკრატიულ ნიადაგზე.

---

ვაჭრობის გაძლიერების მიზნით ვაჭრობის სამინისტროს განუზრახავს აღმოსავლეთის ენების შესწავლა შემოაღებინოს 19 კომერციულ სასწავლებელს რუსეთის იმპერიის აზიურ ნაწილში.

---

ვენიდან ატყობინებენ გაზ. „ბაქოს“, რომ რუსეთს სურს დაუახლოვდეს ავსტრია-უნგრეთს ახლო-აღმოსავლეთის საქმეებში, რადგანაცა შორეულ აღმოსავლეთის მხრით შეიძლება საქმე გამწვავდესო.


# დიდი იაფი ვაჭრობა

პ. ს. დოროჟნოვის

იაროსლავის მაღაზიაში

მიხეილის პრ. კირხის გვერდით. ტელეფონი № 838.

გრძელდება 7 დღეს

დიდის ფასდაკლებით გაიყიდება:

აბრეშუმეულობა და მატყლეულობა, მაუდი, დრაპი და ტრიკო, ტილო და სასადილო საცვალი, სხვა და სხვა ფერის ბამბეული ქსოვილები

დამზადებული საცვალი მამაკაცთა და მანდილოსანთათვის. ჩულქები, წინდები და სხვა და სხვა ტრიკოტაჟი სამებლო ქსოვილები და პლიუში, ტიული და ფარდები.

საბნები, ცხვირსახოცები, გრძელი და ვიწრო ხალები, ხალიჩები.

იაფობის დროს მაღაზია იქნება გახსნილი დილით $8\frac{1}{2}$ საათიდან ნაშუადღევის $2\frac{1}{2}$-მდე და საღამოზე 4 საათიდან $6\frac{1}{2}$-მდე.


ბაქოში მოდის დეპუტატი ა. შინგარიოვი ორი ლექციის წასაკითხავად. ამბობენ, თბილისსაც ეწვევაო.

---

როგორც შევიტყეთ, იმ ფირმას, რომელმაც გადიღო ამას წინად კინემატოგრაფისათვის სურათები, რომელიც შეეხებოდა კავკასიის დაპყრობასა და საქართველოს რუსეთთან შეერთებას, სურს უკანასკნელი სურათები გამოიყენოს რუსეთის ნაციონალისტური პარტიის თვალსაზრისის მიხედვით. თუ ეს ამბავი მართალია, ძალიან გვაკვირვებს, თუ ჩვენმა არტისტებმა რად შეუწყეს ხელი კინემატოგრაფიულს ფირმას.

---

„სიმართლის ხმის“ რედაქციამ უარი სთქვა „თემის“ რედაქციის წინადადებაზე ამხანაგურ განსამართლების შესახებ, ზედ-მეტიაო.

# ნაწყვეტი სემინარიელის მოგონებიდან.

ისტორია ერთი არეულობისა და მღვდელ-მთავარი პეტრე. ა. შანშიაშვილი და სემინარიელთა ხელნაწერი ჟურნალები. ტრაგიკულად გარდაცვალებული პოეტი „დემონი“ (ქუჩუ ქავთარაძე).

გათენდა. ჩვენ უკვე პარტებზე ვზივართ და ვუსმენთ მათემატიკის მასწავლებლის მომაბეზრებელ საუბარს გაკვეთილის ახსნაზე ძარღვები დაწყნარებულია და არავითარ დღესასწაულზე აღ ვფიქრობთ. ამ დროს გაიღება სკოლის ფანჯრები, შემდეგ კარებიც და აღელვებული პირველ — კლასელები მეცადინეობის აღკვეთას მოითხოვენ. [1]) მასწავლებელი იცინის. ის პოლიტიკას არ მისდევს, თუმცა სემინარიელთა არეულობაში ყოველთვის ერთგვარ სარგებლობას ხედავდა. ის ბუნებით ზარმაცი კაცია, კარგადაც ვერ ასწავლის, რის გამო ამხანაგები სემინარიის პენსიონერს ეძახიან. ორჭოფა, გაურკვეველი გრძნობით, მხოლოდ აღელვებით შეჰყურებს ის მოწაფეებს, სკოლის კათედრას არ მორდება და ალბად მოელოდა — თუ დამემუქრებიან და მაიძულებენ, დიდის სიამოვნებით მივატოვებ საძულველი დარბაზსო. აგრეც მოხდა. მოწაფეებმა სთხოვეს მას გარედ გასვლა და ისიც ერთგვარი გაურკვევლობით გამოვარდა კარში. ამის შემდეგ მოწაფეებმა სწრაფი მოლაპარაკება გამართეს და შეერთებ კლასელთა წინამძღოლობით დაერივნენ სემინარიის დანარჩენ კლასებს. ბევრგან ჩხუბამდეც კი მივიდა საქმე, მაგრამ ძალით თუ ნებით, ორი კლასის მოწაფეებმა შესძლეს მთელ სემინარიაში მეცადინეობის აღკვეთა. რა მოხდა, რად, რისთვის? ეს კითხვები ყველას პირზე ეკერა და თხოულობდნენ მიზეზის შესაფერ გახმარტებას. არც თვით საქმის დამწყებლებს ჰქონდათ კარგად გარკვეული მდგომარეობა, რომ გაიმართა შეერთებული კრება მოწაფეებისა. ყველა მოელის თუ ვინ ილაპარაკებს პირველად, ვინ გაბედავს დიდი ხნის დუმილის შემდეგ გაბედულ სიტყვის წარმოთქმას. ბოლოს კათედრაზე ადის ერთი მეორე-კლასელი და შეკრებილ მოწაფეებს ასე აცნობს მომხდარ ამბების მიზეზს და მნიშვნელობას: „ყველანი ხედავთ, თუ როგორ მოვსტყუვდით და როგორ უკან მიაქვთ ბოძებული უფლებები! დღეს სემინარიაში მეცადინეობის აღკვეთას გარდა იმისა სხვა არავითარი მნიშვნელობა აქვს, რომ მოვიგონოთ „თხუთმეტი თებერვალი“ და მით ვაცნოთ სადაც ჯერ არს, რომ ჩვენში კვლავ არსებობს პროტესტის სული და სხვა უკეთეს პირობებში კიდევაც დავიცავთ იმ მოთხოვნილებებს, რომელნიც „თხუთმეტმა თებერვალმა გვიანდერძაო“. მოწაფეებმა ამ დღესასწაულს „იუბილე“ უწოდეს. მთავრობამაც ასე გაიგო, თუმცა დიდ შიშში კი იყო იმის შესახებ, რომ გაი თუ მოწაფეები ნამდვილ გაფიცვას აცხადებენო.

რექტორი და ინსპექტორი მოშორებით იდგნენ ამ დროს და იქიდან დებულობდნენ შესაფერ ზომებს. მათ მოაგონდათ ქართველი მღვდლები, ქართველი ეპისკოპოსი და ტელეფონით მსწრაფლ გამოიწვიეს სემინარიელთა „ჩასაგონებლად და დასაწყნარებლად“. რექტორად მაშინ იყო არც თუ ისე მაგარი, მტკიცე ხასიათის კაცი და ალბად ამას უნდა მივაწეროთ, რომ უფრო ლიბერალურ, კულტურულ ზომებს მიმართეს სემინარიელთა დასამშვიდებლად. მოვიდნენ მღვდლები. მხოლოდ ამათ გაბედეს სემინარიელებთან მისვლა. ერთმა მათგანმა უკმაყოფილომ სემინარიელების პასუხით, სხარტად წამოიძახა რუსულად: „მომენტი სწყვეტს სემინარიის ბედსო!“ — თუ წუთით სწყვეტენ სემინარიის ბედს, დეე, ასეც მოხდესო, — იყო პასუხი მეორე კლასელ მოწაფისა. სემინარიელები თავისას ადგნენ. „ჩაგონებამ“ არ გასჭრა. ამის შემდეგ მოვიდა ჩვენთან აწ განსვენებული მღვდელ-მთავარი პეტრე. მისი მოსვლა სემინარიელებსაც გაეხარდათ. მან გამართა საუბარი პირველ სამ კლასებში და სიამოვნებით უსმენდა მოწაფეების გულწრფელ აღსარებას, რადგან ბევრი რამ იყო ამ აღსარებაში სიმართლე და მწარე სინამდვილის ამონაკვესი. ამ საუბარმა დიდი გავლენა მოახდინა მღვდელმთავარზედაც, როგორც გადმოგვცეს, აუარებელი მასალებიც კი მისძინა, რომ შემდეგ სემინარიის საბჭოს კრებაზე წარბშეუხრელად ემხილა გამგეობის წევრთა უკანონო მოქმედება. განსაკუთრებით აუხირდა მღვდელ მთავარი ერთ რუს მასწავლებელს, რომელიც ქვეყნა გრძნობებისაგან წარმომდინარე ნაციონალური შუღლის და განხეთქილების აზრებსავრცელებდა რუს და ქართველ მოწაფეებ ში [2]).

მალე დაინახეს უფროსებმა, რომ თავის ზომებით სულ წინააღმდეგს მიაღწიეს. ამიტომაც უკანასკნელი სიტყვა აკუთვნეს არა მოხუც მღვდელმთავარს, არამედ არქიელსა და უწმიდეს სინოდს. ექვსი დღე ვუცადეთ სასჯელის გამოცხადებას და მეშვიდეს, როგორც იყო, გამგეობისა და სასულიერო პირების თანხლებით სემინარიის მთავრობა გამოცხადდა კლასებში, ბევრ მოწაფეთათვის დაესვათ სამი ყოფაქცევაში და ერთს კი „უშადლესად მოწყალების მიღებისა გამო“, აგდარეს ორი, აუკრძალეს ხსენებულ დღიდან მაისის ბოლომდე სემინარიის პანსიონიდან გარედ გამოსვლა და მიუჩინეს სამი მღვდელი „ჩამგონებლებად“, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ სამი საათის განმავლობაში ესაუბრათ მოწაფესთან, რომ ამის შემდეგ ის მოქცეულიყო და დაჰბრუნებოდა მშვიდობიან მეცადინეობას. ასე დასრულდა „იუბილე“ და მეორე დღეს ჩვენ უკვე მეცადინეობას შევუდექით, რამაც ძლიერ გააკვირვა სემინარიის მთავრობა, რადგან მოელოდნენ მოწაფეებისაგან გაფიცვის განგრძობას.

თხუთმეტი თებერვლის „იუბილემ“ მთელი სემინარია ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაჰყო. უფროს კლასების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა ხსენებული გამოსვლა მათ დონ-კიხოტობად ჩასთვალეს და ცდილობდნენ საზოგადოების თვალში გაემასხარავებინათ „ბუნტის“ მომხდენთა მომწყობნი, ვინ იცის, რა არ მოიმოქმედეს, ოღონდ კი თავიანთი თავი ბრძენ პოლიტიკოსებად ეჩვენებინათ. დამოკიდებულება იმდენად გამწვავდა, რომ ხელნაწერი ორგანოც კი გაიჩინეს მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად. გამოსცეს კვირეული ჟურნალი „ქნარი“, რომელსაც რედაქტორობდა მესამე — კლასელი ბერი-მოჩხილი. დაბალ-კლასელებმაც დააარსეს ორგანო სახელწოდებით „ეკალი“, რომლის ხელმძღვანელობა მეოთხე კლასის ერთმა და მეორე კლასის ორიოდე მოწაფემ იკისრა. პირველ ნომრებსავე ტენდენციობა დაეტყო და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ჟურნალები სპეციალურ დანიშნულებისათვის იყო მოვლენილი. მიუხედავათ ამისა, ეს ჟურნალები მთელ ეპოქას ჰქმნიან სემინარიელთა ცხოვრებაში. მათი არსებობა საზოგადოებამაც გაიგო და მოწაფეთა მიმართულებას იმით არკვევდნენ, თუ ვინ რომელ ჟურნალს თანაუგრძნობდა. „ეკალისტი“ და „ქნარისტი“ მ.იშვნელოვან ეპიტეტებათ გადაიქცა.

„ეკალში“ იწერებოდა წერილები ს ერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე, სემინარიის „საჭირ-ბოროტო კითხვებზე“, პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებაზე და სხვა... ასეთივე გახუოფილება ჰქონდა „ქნარსაც“, მხოლოდ უკ ხანსკნელი უფრო სალიტერატურო კითხვებს არკვევდა, ვიდრე პოლიტიკო-ეკონომიურს, და ამიტომ საერთოდ პოლიტიკისადმი გულგრილობა დასჩემდა. სემინარიის კ თხვებს ის უბრალო ოჯახური უთანხმოების მხიშვნელობას აძლევდა და არ სცდილობდა კერძო მოვლენების უფრო ძირითად, ზოგად მიზეზებთან დაკავშირებას. მასში დებულობდნენ მონაწილეობას: „სხვაველი“, „სანდრო“, „ნატო“ და სხვა... ეს „სანდრო“ იყო ახალგაზრდა პოეტი ა. შანშიაშვილი. ამ დროს ის პირველად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და გამოუცდელობისა გამო, ალბად, ვერ ჰბედავდა უფრო ფართო საზოგადოებრივ წრეებში შესვლას. აქ ის ხატავდა კარიკატურებს, სწერდა ლექსებს და ერთხელ ს.-დემოკრატიულ ტაქტიკა-შეხედულების დამცველადაც კი გამოვიდა ასეთივე შეხედულების დამცველის „ეკლის“ თანამშრომელ „ბოსიაკის“ წინააღმდეგ. მას საზოგადოდ პოლიტიკა ძლიერ აინტერესებდა ამ დროს და, როდესაც გაიგო, რომ „ქნარისტებმა“ ის შეცდომაში შეიყვანეს და ისინი სრულებითაც არ იყვნენ პროგრესისტ მოწაფეების აზრის გამომხატველნი სემინარიაში, „სანდრომ“ დასტოვა „ქნარის“ რედაქცია და „ეკალში“ შემოსვლის სურვილი განაცხადა. „ეკლის“ რედაქტორმა „პარციალისტმა“ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა სემინარიელთა ძალებით განესაზღვრა ჟურნალში თანამშრომლობა.

„ეკალში“ შემდეგ სახელებს შეხვდებოდით: „პარციალისტი“, „ბოსიაკი“, „კუპიდონი“, „დემონი“, „ფენიქსი“ და სხვა... ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს ორიოდე სიტყვით დავახასიათო ტრაგიკულად გარდაცვლილი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი „დემონი“. ის ჟურნალ „ეკლის“ ერთი სულისჩამდგმელთაგანი იყო. ტეხნიკური მხარე გამოცემისა მთლად მას ეკუთვნოდა. პოლიტიკას გაურბოდა ის და, მახსოვს, ამხანაგებისაგან მხილების შემდეგ ხშირად იტყოდა: „პოლიტიკა თქვენი საქმეა, პუბლიცისტებო და მე კი ისევ აპოლონის თაყვანისმცემლობას განვაგრძობო“. გულით ის თანაუგრძნობდა ყოველივე ახალს, სემინარიაში ცხოვრება ჭირივით ეჯავრებოდა, საგნებში არ უყვარდა მათემატიკის და საღვთო წერილის გაკვეთილები; თავისუფალ დროს ლიტერატურის კითხვაში ატარებდა. მეტად გრძნობიერი, გულწრფელი, ამხანაგისათვის კეთილის მდომი და ამავე დროს ხასიათით სუსტი იყო „დემონი“. ამით განსხვავდებოდა თავის ამხანაგებში. განგებ შევიდა პანსიონში საცხოვრებლად, რომ სახლიდან გამოგზავნილ ფულების უანგარიშოდ დახარჯვას ასცდენოდა. ჯიბეში ფული არ მოუცდიდა და ხშირად შიმშილობაც სწვევია. ამხანაგები ამისა გამო არ სძრახავდნენ; ხშირად სიბრალულის გრძნობაც კი აენთებოდათ, რადგან იცოდნენ, რომ ყველა ამას „ქუჩუ“ ბავშვური გულწრფელობით და სიხალისით სჩადიოდა. სემინარიის მთავრობამ იცოდა „დემონის“ პოეტობა და ამიტომ „განსაკუთრებულ მხედველობის ქვეშ“ ჰყავდა ის. თავისუფლების მოტრფიალე „დემონს“ ასეთი წესები არ მოსწონდა და სემინარიის მთავრობის რისხვა არა ერთხელ დაუმსახურებია. მ.მართულებით პესიმ.სტი იყო. პოეტებში თაყვანსსცემდა ბაირონს და არა ერთხელ დაუწერია ლექსი სათაურით: „ბაირონის მიბაძვა“. მან დასწერა მრავალი ლექსი და სხვათა შორის პოემა „თინათინ“ და მიკვირს — რომელიმე რედაქციამ მის სიცოცხლეშივე რატომ არ დაბეჭდა ეს ნაწარმოები. უკანასკნელ ხანში ჩვენ ერთმანეთს დავშორდით და ამიტომ დაწვრილებით არ ვიცნობ იმ სულიერ ტანჯვას, რომელსაც განიცდიდა სულთმორბძავი „დემონი“. მხოლოდ მიკვირს, რომ ასე ადრე ხ.ცდებიან ჩვენში ახალგაზრდები, ასე ადრე იწყებენ საკაცობრიო სევდა-კაეშნის კილოზე ჩანგის ჟღერას, თვრამეტი წლის ახალგაზრდა ჰგოდებს და დასტირის ცხოვრების არარაობას. ნიჭიერმა „დემონმა“ ვერ გაუძლო ამ სევდა-კაეშანს და თავის სიცოცხლის მოსპობით მეუდრო „ნირვანაში“ გ დავიდა. მოკვდა და თან წაიღო მწარე ფიქრი და გრძნობები. განისვენა, მაგრამ გი ვერ გადასჭრა „წყეული კითხვები“.

1910 წ. 21 დეკემბერი.

**დომენტი გიორგის ძე არონიშიძე.**

---

[1]) 1905 წლის 15 თებერვალს თბ. სას. სემინარიაში მოხდა გაფიცვა, როდესაც წარმოყენებული იყო დროს შესაფერი სხვა და სხვა მოთხოვნილებანი. 1907 წელსაც განიმეორეს ეს, რაიც გამოიხატა ერთი დღით მეცადინეობის აღკვეთაში.

**დ. ბ—ლი.**

[2]) ეს მასწავლებელი, გვარად რჟავენსკი, შემდეგ რუსეთის ერთ-ერთ სემინარიის ინსპექტორად გადაიყვანეს.

**დ. ბ—ლი.**

# ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

„ნაკადული“ № 15. (მცირე წლოვანთათვის). ამ ნომერში სხვათა შორის, მოთავსებულია პატარა მასალა იროდიონ ევდოშვილის შესახებ. ეს მასალა მეტად საყურადღებოდ მიმაჩნია და ამიტომ მოვიყვან მას სრულიად. „ჩემო პატარა მეგობარო! თქვენ ხშირად წაგიკითხავთ ამ პატარა ჟურნალში მგოსნის იროდიონ ევდოშვილის მიერ გრძნობით დაწერილი ლექსები და მშვენიერი საყმაწვილო მოთხრობები. ეს ჩვენი საყვარელი მგოსანი დღეს ავად არის და ამ ზაფხულს საექიმოდ საგარაკო ადგილს ცემს გაემგზავრა. ქართველმა საზოგადოებამ გაიგო მისი ავადმყოფობის ამბავი და ისიც, რომ მგოსანი სიღარიბეს, ხელ-მოკლეობას განიცდის, ამიტომ ყველა ეხმარება მგოსანს, ყველა შემწეობას აძლევს მას და უსურვებენ ავადმყოფობისაგან მალე განთავისუფლებას, მალე განკურნებას. საქართველოს ბევრს ადგილებში გაიმართა და დღესაც იმართება მგოსნის სასარგებლოდ სალიტერატურო საღამოები. ერთი ასეთი სალიტერატურო საღამო **ახალგაზდა მგოსანმა ლადო გეგეჭკორმა** ქართველ სტუდენტების დახმარებით გამართა ორ აგვისტოს აგარაკ აბასთუმანში. სალიტერატურო საღამომ კარგად ჩაიარა. ხალხს **ძალიან მოეწონა** თქვენი ამხანაგის ათი წლის ვასიკო ჰეიშვილის მიერ გრძნობით წაკითხული **ლადო გეგეჭკორის ლექსი „სალამი“** რომელიც ამ ნომრის თავშია დაბეჭდილი. უსურვეთ თქვენც პატარებო თქვენ კარგ მასწავლებელს და საყვარელ მგოსანს იროდიონ ევდოშვილს განკურნება, რათა მან კვლავაც ბევრი დასწეროს ლექსები და მოთხრობები; შეუთვალეთ სალამი, გაამხნევეთ!

თქვენი მეგობარი **ლეონარდო**“

იროდიონ ევდოშვილის შესახებ, რომ მეტიც დაბეჭდილიყო და უფრო კარგადაც ჩვენ, რასაკვირველია, მადლობის მეტს არას ვეტყოდით, როგორც რედაქციის ისე ავტორსაც, მაგრამ ზემო ამონაწერს თუ დავუკვირდებით დავინახავთ, რომ ამავე დროს ეს ერთნაირი რეკლამაა ლადო გეგეჭკორისათვის. სარეკლამო წერილებს მეტადრე საყმაწვილო ჟურნალში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მით უფრო არ უნდა დაბეჭდილიყო ეს, რომ იგივე ლექსი ლადო გეგეჭკორისა დასტამბულია იმავე ნომერში.

ჩვენს დროში, როდესაც მწერლობა და პოეტობა ერთნაირ ავადმყოფობად გადაიქცა, მოსალოდნელია არა თუ ამ წესით „მგოსნის“ სახელის მოხვეჭა, არამედ სხვა უფრო დაბალი ხარისხის საშვალებათა ხმარებაც კი.

**რუ—ილ.**

# საქართველოს ამბები.

**სოფ. ნიკორწმინდა.** (რაჭა) ამ სოფლიდან ერთი ვერსის დაშორებით, ტყიბულისაკენ გადაშლილია ვეებერთელა შაორის ჭალა, რომლის შუაც დინჯად მოიკლაკნება მდ. შაორი. ბუნება და ჰაერი საუცხოოა. მნახველის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შაორის მდინარე, რომელიც ერთგან მიწაში იკარგება და შორს რამოდენიმე ვერსის მანძილზედ კლდის ძირიდან გამოდის. გზატკეცილი, რომელიც მიდის შაორის ჭალაზედ, გადივლის ნაქერალის ქედს და ჩადის ტყიბულის სადგურამდე. შაორის ჭალაზედ, ეს ორი წელიწადია ბაზრობა იმართება. იწყება შუა აგვისტოდან და გრძელდება თითქმის ამ თვის დამლევამდის. ბაზრობის გამოგონებას მწყემს ბავშებს მიაწერენ. მწყემსებს წინად აქ ჩვეულება ჰქონიათ 24 თიბათვეს, ივანობას, ხის ტოტებისაგან კარვების გაკეთება და სოფლურ ცეკვა-თამაშის მოწყობა. შემდეგ ამ ბავშვურ გართობას რთული, სერიოზული ხასიათი მისცემია: მრავალი მაყურებელი მიუზიდავს გარშემო სოფლებიდან. წარსულ წელს, ს. ნიკორწმინდის საზოგადოების თხოვნით მთავრობამ ნება მისცა ორი კვირით დაეწესებინათ ბაზრობა. სიმართლე უნდა ითქვას, ეს ბაზრობა გარდა ლოთობის სურათისა ახალს არაფერს წარმოადგენს. არავითარი ვაჭრობა და ალებ-მიცემობა აქ არ სწარმოებს. მოვაჭრეთა შორის თითქმის ყველანი მიკიტანია, სოფლელები სალხინოდ და დასათრობად უფრო მოდიან, ვიდრე სავაჭროდ. ერთი სიტყვით აქაური ბაზრობა თელეთობას ან თემობას უფრო მოგვაგონებს ვიდრე ნამდვილ ბაზრობას. თქვენს ყურადღებას იქცევს

18 აგვისტოს ს. ნიკორწმინდაში ადგილობრივმა სცენის-მოყვარეებმა წარმოადგინეს „ძუნწი“ სამ-მოქ. კომ. ერისთავისა და ვოდევილი „უბედური დღე“ ბალანჩივაძისა. გამართეს აგრეთვე დივერტისმენტიც. პიესამ საერთოდ გვარიანად ჩაიარა. სამწუხაროდ წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო.

**იოლა.**

**ტუაფსე** 30 აგვისტოს საღამოს საათ ნახევრის განმავლობაში საშინლად წვიმდა. მთიდან მოსქდარმა ნიაღვარმა ჩამოანგრია სახლები; აავსო წყლით სარდაფები. ზღვის პირას, სადაც ინჟინერი სმირნოვი ნავთსადგურის გასაკეთებელ მასალას ამზადებს, ნიაღვარმა მუშების სამყოფი ბარაკები წყლით აავსო, აგრეთვე მრავალი დამზადებული მასალა ზღვაში ჩაიტანა. მეორე დღეს დილით ადრე შვიდ საათზე მოსულმა წვიმამ ტუაფსეს ახლოს სოფ. ველიამინოვკაში საზარელი ამბავი მოახდინა. მსხვერპლი ცოტა იყო, (რადგანაც ხალხს დროზე მიაშველეს ნავები ფელუგები.) დაიღრჩო მხოლოდ სამი კაცი და ერთი ბავშვი. ნიაღვრისაგან წახდენილი ბევრი რამ არის. ზარალი ძალიან დიდია. სოფ. პაუკშიაც, სადაც ნავთის ქარხანა კეთდება, მთელი მოწყობილობა წაიღო ნიაღვარმა; ზოგ მცხოვრებელს წაართო ცხვარი, ხარი და ძროხა.

**ნოე ჭუბაბრია.**

**დ. ზუგდიდი.** ვინც დაჰკვირვებია გარეგან მხარეს ჩვენი დაბისას, რომელიც ითვლება სამეგრელოს დედა-ქალაქად, ის უეჭველია შენიშნავდა, რომ მას ამ ბოლო დროს ქონებრივი წარმატება დაეტყო. კოხტა, რამდენიმე სართულიანი სახლები წამოჭიმეს აქაურმა მცხოვრებლებმა. ბაზარი გამართეს. მაგრამ ზუგდიდი საკმაოდ მდიდარია ინტელიგენციის მხრით მაშასადამე მას უფრო მეტი წინსვლა და წარმატება უნდა დასტყობოდა, მაგრამ ეს ჩვენი ინტელიგენცია უსარგებლოდ და უშინაარსოდ ატარებს დროს. შეიკრიბებიან მორთულნი, მოკაზმულნი, სიცოცხლით და ჯანღონით სავსენი და ბანქოსა და სხვა გასართობებში ერთობიან. ნუ თუ სასარგებლო საზოგადო რამე საქმეს ვერ მოაწყობენ... მერე როგორ სჭირია დაბას, მკვირცხლი, მამოძრავებელი ცოცხალი ძალა!

**ვეჩა.**

### ჭიათურის სამკითხველოში არსებულ წეს-რიგის გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ).

ბ. რედაქტორო! გთხოვთ, თქვენი გაზეთის მახლობელ №-ში ადგილი დაუთმოთ შემდეგ წერილს:

ამ დღეებში, ჭიათურის საბჭოს სამკითხველოში შევედი და იქ მოსამსახურე კოწიას ვსთხოვე, ჩემთვის ნება მიეცა, საჭირო ცნობების ამოსაკრებად, იქვე გადამეთვალიერებია 1910—11 წ.წ. ჟურ. „სხივი“ და „კალამურის“ №-ბი, რაზედაც მან მიპასუხა: „არ შემიძლია ნება არა მაქვს... გამგეს სთხოვეთ“. შემდეგ ასეთივე თხოვნით მივმართე იქვე მდგომ სამკითხველოს გამგეს, ქ. გ. დ-ძეს. უკანასკნელმაც თითქმის იგივე მიპასუხა:—„არ შემიძლია, ხელს ვერ გახლებ..., ნება არა მაქვსო და სხვა... მაგრამ დიდი თხოვნა-ხვეწნით და ვაი-ვაგლახით, როგორც იყო, „შეუძლებელი“ შესძლო და ჟურნალის №-ბი ამოიღო; ჯერ კ—მ გადმომითვალა, შემდეგ ქ. დ-ძემ და გავიდნენ იქვე მეორე ოთახში. მაგრამ იქ აუტეხა მოსამსახურე კ-მ ერთი ჩხუბი: „რატომ უარით არ გაისტუმრე, ჩემთან რათ გამოგზავნეო“ და სხვა... ბოლოს ისიც უთხრა, რომ ჩემთვის ეყურებია, რომ №-რი არ წამეღო. ყოველივე ამის შემდეგ მე იძულებული გავხდი ჟურნალების გადათვალიერებისათვის თავი დამენებებინა და სამკითხველოდან გამოვსულიყავი.

ჯერ ერთი, მე სადაც ვმსახურობ იქ ჟურ. „სხივზე“ მეტ საქმეს მენდობიან, მაგრამ ჯერ არაფერი წამომიღია. თუ ქ. დ-ძე ჟურნალის №-ის ორჯერ გადათვლის შემდეგ კიდევ ვერ მენდობოდა — მას ისეც შეეძლო თვალ-ყური ედევნებინა ჩემთვის. სხვის გასაგონად კი იმის თქმა „წადი ყურე ნომრები არ წაიღოს-ო“ — ლამაზი არ არის...

რაც შეეხება იმას, რომ მას „ნება არა აქვს, ძველ ჟურ.-გაზეთებს ხელი ახლოს“, ე. ი. რაიმე საჭირო ცნობების ამოსაკრებად ის ვისმე გადაათვალიერებინოს და სხვ...“ — არ ვიცით რამდენად მართალია ეს; ზევიდანა აქვს ეს ნაბრძანები, თუ თავის ნებასურვილით სჩადის ამას ქ. დ-ძე.

წორედ გასაკვირველია, რისასთვის და ვისასთვის ინახავენ ძველ ჟურ.-გაზეთებს სამკითხველოში, თუ როცა საჭიროა ხელს არავის ახლებინებენ?!..

**—ლი.**

# „თემის“ ფოსტა.

**ქ. ფოთს ბ. პელაშვილის:** არ დაიბეჭდება ლექსები: „დედის გოდება“ და „ნუ იქნები“.

**მათხოჯის სამკითხველოს გამგეობას:** სამწუხაროდ თქვენი თხოვნის ასრულება არ შეგვიძლია.

**ქ. ფოთს ბ. კალისტრატე ხელიძეს.** პასუხს გაგცემთ თქვენს იურიდიულ კითხვაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც შეგვატყობინებთ, რა უფლებით გიჭირავთ და სარგებლობთ იმ მიწებს, რომლის გამოსყიდვა მოგიწადინიათ. გვაცნობეთ და პასუხსაც არ დავაყოვნებთ.

**ქ. ოზურგეთს. ი. ხინთიბაძეს.** გამოგზავნილი განცხადებისთანა მაგვარი განცხადებანი არ იბეჭდება გაზეთებში, თუნდ საფასურს გადაიხადოთ.

**ქ. კიევს. ბ. ფიფიას.** წიგნი გამოვგზავნეთ. მოიკითხეთ ფოსტაში.

რედაქტორი **ს. მგალობლიშვილი.**
გამომცემელი **გრ. დიასამიძე.**

ვაჭრობა-მრეწველობის განკარგულებაში მყოფი კომერციული ცოდნის კურსები

**ტ. მ. ფილოიანისა.**

თბილისი, მიხეილის პრ. ს. № 24—4. ტელ. № 976.

კურსებზე ორივე სქესის მოწაფე იღებს კომერციულ განათლებას. კურსის გათავების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. პრაქტიკული მეცადინეობა სწარმოებს კურსებზე შემდეგ სასწავლებელთა მიხედვით Pitman (ლონდონი), Pigiel (პარიზი), მოწყობილ Muster-Comtoir-ში. მასალა რეალურ ცხოვრებიდან არის აღებული საგნები: I. სავალდებულო: 1) ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო, საქარხნო და სავაჭრო); 2) კომერციული არითმეტიკა, 3) პოლიტიკური ეკონომია, 4) კანონმდებლობის შესწავლა (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება), 5) კომერციული კორესპონდენცია, 6) არითმეტიკა საანგარიშოზე და 7) კალიგრაფია, ჩქარი წერა (ცუდი ხელის გასწორება), II არა სავალდებულო: 1) უცხო ენები, 2) სტენოგრაფია, 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) 4) კომერც. კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ცალკე პირთახაც.

არზები მიიღება: დილ 10—2 საათ და 4—7 ს. საღ. მეცადინეობის დაწყება 15 ენკენისთვეს. პროგრამა და წესები ეგზავნება და ეძლევა მსურველთ უფასოდ კურსების ბინაზე. კურსები ურჩევენ ფირმებს ბუღალტრებს, მათ თანაშემწეებს და სხვა კომერც. მოსამსახურეებს იმ პირების რიცხვიდან, რომელთაც კურსი გაათავეს დიპლომით. მიმდინარე წელს კურსებზე იყო 284 მოწაფე, ამათ შორის 53 ქალი.

5—3

„თემის“ რედაქციის გამოცემა.

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

„მზის სიცილი“

ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართლის წერილით.

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %.

მისამართი: გაზ. „თემის“ კონტორა.

საჭაჭრო სკოლა (უფლებიანი)
და საბუღალტერო კურსები
ივანე ზაქარ (ას-ძე ტერ-სტეფანოვისა

მოწაფეთა მიღება განსაზღვრულია (კლასში არის არა უმეტეს 24 მოწაფისა) მეცადინეობის დაწყება სკოლაში 2 ენკენისთვეს, კურსებზე—16 ენკენისთვეს. მიხეილის პროსპექტი, ს. № 53.

На курсахъ коммерческихъ знаній *Т. М Филояча* учатъ по новому методу

Францyз-, Нѣмец. и Англійск.

языкамъ свободно читать и говорить въ теченіе короткаго времени, путемъ теоретическихъ и практическихъ занятій. Подробныя свѣдѣнія и пріемъ въ канцеляріи курсовъ отъ 10—12 и отъ 4-7 ч. Михайловскій просп., № 24. Телефонъ № 976. 5—1

წიგნის მაღაზია
„ცოდნა“
სოსიკო მერკვილაძისა.

დამზადებულია სკოლებში სახმარებელი დიდძალი სახელმძღვანელო წიგნები ქართულს, რუსულს და ევროპიულს ენაზედ.

აქვეა: ჩვენი მწერლების თხზულებანი და ყოველგვარი ქართული წიგნები. აგრეთვე: ჩვენ მწერალთა, გამოჩენილ კაცთა და მსახიობთა დიდი სურათები თითო ათი შაური: ნარდათ მყიდველებს ფას დაკლებით.

მისამართი: თბილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო. მერკვილაძეს.

ხელოვნურად ფამკურნალო და შეზავებული ხილეულობის წყალი



მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

ამით გვაქვს პატივი ვაუწყოთ ჩვენს პატივცემულ მუშტრებს, რომ მომავალ სეზონისათვის ჩვენ ვამზადებთ დიდძალ ყოველგვარ

ტანისამოსს

ბავშვების მანდილოსნებისა და მამაკაცთათვის

ამისათვის ჩვენ მოვიწვიეთ სპეციალისტები, კონფექციონერები, რომელნიც კარგა ხანია მუშაობენ. რადგანაც ჩვენ ყოველთვის გვსურს გვქონდეს უკანასკნელი მოდის საქონელი, ამიტომ გავგზავნეთ ჩვენი თანამშრომელნი ევროპის დედა-ქალაქებში ახალ-ახალ მოდების შესაძენად.

ჩვენს მაღაზიაში მოიძებნება ყოველგვარი საჭირო სავაჭრო, ამიტომ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ ჩვენი პატივცემული მუშტრების ყოველგვარ გემოვნების დაკმაყოფილებას სრულიად შევსძლებთ.

მაღაზიასთან არსებობს სამაგალითო სახელოსნო სადაც დაკვეთის თანახმად ამზადებენ ტანისამოსს. სახელოსნოს ხელმძღვანელობენ გამოცდილი მკერვალები.

სრულის პატივისცემით

ძმ. საფარიანცები და ტერ-საააკოვი

პარიზის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი, სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

2—2

ტელეფონი № 258.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი-სპეციალისტები.

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | მანსვეტაშვილი გ. მ (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.<br>ექ. ქალი ენგელ-მელიქ შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ გარდა კვირასა 1—2 |
| ქირურგიული სნეულებანი. | მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ დღე $11^1/_2$—12—$^1/_2$).<br>მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და საშვ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12,<br>თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) 1-$1^1/_2$ს<br>მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ. და შაბათ. 12—1<br>ფონდოევი გ. ს. (ყოველ დღე) 1—2. |
| ყელ. ყურ. და ცხვ. | ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყობილი. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სორაპანი“. მადათოვის კუნძული.